საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 73/ს
05/05/2022

73-21-4-202205051404

ქ. თბილისში, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ 10 000 მ³ ჯამური მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (დამატებით 7 000 მ³ ჯამური მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების მოწყობა-ექსპლუატაცია) სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ქ. თბილისში, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ 10 000 მ³ ჯამური მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (დამატებით 7 000 მ³ ჯამური მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების მოწყობა-ექსპლუატაცია) სკოპინგის დასკვნა №18 (14.04.2022);
2. შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №18 (14.04.2022) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო